N 01-26/9
23.01.2026

9-0-4-202601232049

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის, უნივერსიტეტის დებულების III თავის მე-3 მუხლისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-8 მუხლის 8.9, 8.10 პუნქტებისა და მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის გამოცხადდეს შიდა მობილობა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ამავე დანართში მითითებულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად.
2. შესაბამისი სკოლის დეკანის გადაწყვეტილების შემთხვევაში, შიდა მობილობის გზით დანართი N1-ით განსაზღვრულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველ პირთა შერჩევა განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ან/და შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრების საფუძველზე.
3. დაევალოს შესაბამისი სკოლის დეკანებს მათი სკოლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, შიდა მობილობით გადმომსვლელ პირთა შერჩევის მიზნით შესარჩევი კომისიებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრა (ასეთი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში) - არაუგვიანეს 2025 წლის 1 სექტემბრისა.
4. განისაზღვროს 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები:
   4.1 შიდა მობილობით სარგებლობის მსურველ პირთა მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენა - 12 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით.
   4.2 შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების/შესარჩევი კომისიის მიერ შიდა მობილობით სარგებლობის მსურველ პირთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და მათთან გასაუბრება (ასეთი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში) – 16 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით.

4.3 შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შიდა მობილობით სარგებლობის მსურველ პირთა კრედიტების აღიარება - არაუგვიანეს 18 თებერვლისა;

4.4 შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორების მიერ, შიდა მობილობით სარგებლობის მსურველ პირთათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა და წერილობითი სახით დადასტურება (თანხმობა ან უარი) – არაუგვიანეს 18 თებერვლისა;

4.5 შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორების მიერ, შიდა მობილობის წესით ჩასარიცხ პირებთან ხელშეკრულების გაფორმება - არაუგვიანეს 19 თებერვლისა.

5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელს - სოფიო სუხიაშვილს შესაბამისი ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. დაევალოს ლიკა კაკაბაძეს აღნიშნული ბრძანების გაცნობა შესაბამისი სკოლის დეკანებისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელისთვის,სოფიო სუხიაშვილისთვისა, და სხვა ყველა დაინტერესებული პირებისთვის.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მარინე იოსელიანი

რექტორი

დანართი N1 (ბრძანება 01-26/9; 23 იანვარი, 2026

N	პროგრამის დასახელება	საფეხური	შიდა	სწავლის საფასური
1	სამართალი	ბაკალავრიატი	3	4500
2	აუდიოვიზუალური ხელოვნება	ბაკალავრიატი	5	7700
3	ბიზნესის ადმინისტრირება	ბაკალავრიატი	5	4700
4	ფსიქოლოგია	ბაკალავრიატი	10	4200
5	პოლიტიკის მეცნიერებები	ბაკალავრიატი	7	3600
6	საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი	3	4500
7	ციფრული მედია და კომუნიკაცია	ბაკალავრიატი	7	6000
8	ადგილობრივი თვითმმართველობა	მაგისტრატურა	5	3500
9	საზოგადოებრივი ურთიერთობები	მაგისტრატურა	5	5300
10	საერთაშორისო ურთიერთობები	მაგისტრატურა	5	4000
11	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და	მაგისტრატურა	50	3500
12	საჯარო მმართველობა	მაგისტრატურა	5	3500
13	საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგ	დოქტორანტურა	3	3300
14	პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პრო	დოქტორანტურა	3	3300
		სულ	**110**	